

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №401
2024 წლის 16 დეკემბერი

ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 92-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 92 . ფიზიკური პირის მიერ ქონების გადასახადის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება

ფიზიკური პირი, რომელსაც საგადასახადო კოდექსის 205-ე მუხლის მე-13 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არ წარმოეშობა ქონების გადასახადის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება, არაუგვიანეს საგადასახადო წლის 1 ნოემბრისა მიმართავს საგადასახადო ორგანოს №V-04 დანართის ფორმით.“.

2. დანართი №V-04 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

